



## საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრის ოქმი

თარიღი: 27 იანვარი, 2013 წელი

დრო: 15:00 – 16:30 საათი

შეხვედრის ადგილი: ევროპის სახლი

### შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ლაშა ტულუში - საქართველოს ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარე, ლიბერალური აკადემია თბილისი
2. ივანე ჩხიკვაძე - აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული კოორდინატორი, ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო"
3. ირინა ფუტკარაძე - პირველი ჯგუფის თანაკოორდინატორი, საზოგადოებრივი დამცველი
4. ნინო ელიზბარაშვილი - მეორე ჯგუფის თანაკოორდინატორი, ასოციაცია "ქალი და ბიზნესი"
5. ოლეგ შატბერაშვილი - მეორე ჯგუფის თანაკოორდინატორი, ასოციაცია ევროპული კვლევები საქართველოს ინოვაციური განვითარებისთვის
6. ნინო ჩხობაძე - მესამე ჯგუფის თანაკოორდინატორი, საქართველოს მწვანეთა მოძრაობა
7. თამაზ ვაშაკიძე - მესამე ჯგუფის თანაკოორდინატორი, საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკური განვითარების ცენტრი
8. ალექსანდრა კალატოზიშვილი - მეოთხე ჯგუფის თანაკოორდინატორი, სამოქალაქო განათლების განვითარების მულტიეთნიკური რესურსცენტრი

საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა გახსნა ეროვნული პლატფორმის თავმჯდომარემ და დამსწრეებს გააცნო შეხვედრის დღის წესრიგი.

საბჭოს წევრებმა იმსჯელეს პლატფორმის წესდებაში ცვლილებების შეტანის საკითხზე. საერთო კრებაზე დამსწრეთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით საკოორდინაციო საბჭოს დაევალა წესდებაში ცვლილებების შეტანა, 2 კვირის ვადაში შენიშვნების მიღება და ერთი თვის განმავლობაში პლატფორმის ელექტრონულ ქსელში კენჭისყრაზე დაყენება. გადაწყდა, რომ წესდება თავმჯდომარის მიერ შეტანილი ცვლილებებით გადაიგზავნება საბჭოს წევრებთან და ერთი კვირის განმავლობაში მათ ექნებათ შესაძლებლობა მოამზადონ შენიშვნები და კომენტარები, რომელთა განხილვა მოხდება საბჭოს შემდეგ შეხვედრაზე. საკოორდინაციო საბჭოზე შეთანხმებული ცვლილებებით წესდება გაიგზავნება პლატფორმაში განსახილველად.

საბჭოს წევრებმა იმსჯელეს ახალი ორგანიზაციების მიღების საკითხზე. ამ დროისათვის პლატფორმაში გაწევრიანების სურვილი გამოთქვა ათმა ორგანიზაციამ. გადაწყდა, რომ მსურველთა განაცხადები განსახილველად გადაიგზავნება საკოორდინაციო საბჭოში, შემდეგ შეხვედრაზე კი მიიღებენ გადაწყვეტილებას გაწევრიანებასთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებმა იმსჯელეს პლატფორმის წევრთა დასწრების საკითხზეც. მეორე ჯგუფის თანაკოორდინატორმა აღნიშნა, რომ ორგანიზაციების დიდი ნაწილი საერთო არ ესწრება შეხვედრებს და უბრალოდ ირიცხება სიაში. ეროვნული კოორდინატორის თქმით, პრობლემატურია ზოგადად ორგანიზაციების აქტიურობის საკითხი. ბევრი ორგანიზაცია გარდა იმისა, რომ არ დადის შეხვედრებზე და არ ესწრება წლიური კრებას, არც ელექტრონულ მიმოწერაში იღებს მონაწილეობას. შესაბამისად, პლატფორმის სახელით განცხადებების გავრცელების დროს თავს იჩენს ქვორუმის პრობლემა. დამსწრეები შეთანხმდნენ, რომ აუცილებელია ამ საკითხზე მეტი ყურადღების გამახვილება და გაწევრიანებისა თუ შემდგომი აქტიურობისთვის მკაფიო კრიტერიუმების დადგენა. მეორე ჯგუფის თანაკოორდინატორის თქმით, პრობლემატურია პლატფორმის ჯგუფებს შორის, ასევე ჯგუფებსა და საბჭოს შორის კოორდინაციის საკითხი. ფართოდ უნდა ვრცელდებოდეს ინფორმაცია როგორც ჯგუფების აქტივობების, ასევე პლატფორმის წევრი ორგანიზაციების მიერ განხორციელებული თუ მიმდინარე პროექტების შესახებ. ამასთანავე, პლატფორმის სახელით გაკეთებული ნებისმიერი განცხადება, ღონისძიება თუ სხვა აქტივობა საფუძვლიანად უნდა იქნეს განხილული და შეჯერებული საკოორდინაციო საბჭოში.

საბჭოს წევრებმა განიხილეს პლატფორმის მიერ მომზადებული პოლიტიკის დოკუმენტების ადვოკატირების საკითხი. თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დეკემბერში უკვე ჩატარდა ერთი შეხვედრა, სადაც დამსწრეებმა იმსჯელეს ამ თემაზე და გარკვეულ გადაწყვეტილებაზეც შეჯერდნენ, თუმცა მისი თქმით, პლატფორმის წევრები ნაკლებად აქტიურობენ ამ მიმართულებით. მეორე ჯგუფის თანაკოორდინატორმა აღნიშნა, რომ ევროდელეგაციაში გაიმართა შეხვედრა საინოვაციო პოლიტიკასთან დაკავშირებით, სადაც წარდგენილი იქნა მეორე ჯგუფის ფარგლებში მომზადებული პოლიტიკის დოკუმენტი. გარდა ამისა, პლატფორმის რამდენიმე წევრი მონაწილეობს საინოვაციო პოლიტიკის შემუშავებაში, რომელსაც ეკონომიკის სამინისტრო ახორციელებს მსოფლიო ბანკის დახმარებით. საინოვაციო პოლიტიკის შემუშავება გულისმხობს საინოვაციო სააგენტოს შექმნასა და საინოვაციო სტრატეგიის შემუშავებას. საბჭოს წევრები შეთანხმდნენ, რომ საჭიროა პლატფორმის სახელით გაიგზავნოს ოფიციალური წერილი, რომლითაც შესაბამის სამინისტროებს კიდევ ერთხელ ეცნობებათ პოლიტიკის დოკუმენტების მომზადების შესახებ. წერილში ასევე უნდა დაფიქსირდეს თხოვნა იმის თაობაზე, რომ სამინისტროების წარმომადგენლებმა დაიწყონ ამ დოკუმენტებზე

მუშაობა და ოფიციალური წერილით გამოხატონ თავიანთი პოზიცია პოლიტიკის დოკუმენტებში გამოთქმულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

თავმჯდომარის თქმით, საჭიროა მთავრობასთან გაფორმდეს თანამშრომლობის მემორანდუმი. მემორანდუმი გულისხმობს მთავრობასთან სტრუქტურულ დიალოგს ევროპული სტანდარტების შესაბამისად. გადაწყდა, რომ თავმჯდომარე მოამზადებს მემორანდუმის პირველად ვერსიას და საკოორდინაციო საბჭო დაიწყებს ამ მიმართულებით მუშაობას. თავმჯდომარემ წამოაყენა წინადადება პლატფორმის უფრო მოკლე სახელწოდებით მოხსენიებასთან დაკავშირებით. საბჭოს წევრები შეთანხმდნენ, რომ მომავალ შეხვედრაზე იმსჯელებენ ამ საკითხზე.

ამის შემდეგ საქართველოს ეროვნულმა კოორდინატორმა ისაუბრა აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის ექვსი ეროვნული პლატფორმის საერთო პროექტზე, რომელშიც საქართველოს მხრიდან ჩართულია ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო". 2013 წლის სამოქმედო გეგმა დაამტკიცა წინა საკოორდინაციო საბჭომ. გეგმით გაწერილი 9 ეროვნული აქტივობიდან 7 შესრულდა. დამსწრეები შეთანხმდნენ, რომ შემდეგ სხდომაზე განიხილავენ და დამატკიცებენ ეროვნული კოორდინატორის მიერ წარმოდგენილ 2014 წლის სამოქმედო გეგმას.

ეროვნულმა კოორდინატორმა დამსწრეებს მიაწოდა ინფორმაცია ფორუმის საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრის შესახებ, რომელიც 3-4 თებერვალს გაიმართება ბრიუსელში. მისი თქმით, შეხვედრა მიემდვნება უკრაინას, ძირითადად მიმართული იქნება ადვოკატირებისკენ და მას დიდი ალბათობით დაესწრება ევროკომისარი გაფართოებისა და ევროპული სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში შტეფან ფულე. ეროვნულ კოორდინატორს ექნება შესაძლებლობა შეხვედრაზე გააუღეროს საბჭოს წევრებთან შეთანხმებული კონკრეტული იდეა ან წინადადება. თავმჯდომარის თქმით, კარგი იქნება თუ თბილისში მოეწყობა საერთაშორისო კონფერენცია უკრაინის მოვლენებთან დაკავშირებით.

ეროვნული კოორდინატორის აზრით, საჭიროა სამინისტროების წარმომადგენლებთან ერთად მოეწყოს დისკუსიები ასოცირების ხელშეკრულების შესახებ. მესამე ჯგუფის თანაკოორდინატორის თქმით, სამინისტროებში შექმნილია ტექნიკური ჯგუფები, რომლებიც ემზადებიან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერისთვის. მესამე ჯგუფს აქვს სურვილი შესაბამისი კომპეტენციის მქონე წევრებით ჩაერთოს ამ ტექნიკური ჯგუფების მუშაობაში.

საათნახევრიანი განხილვის შემდეგ საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: სალომე ბულია